კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.gcci.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 19 დეკემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა

www.gcci.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
40.91%
78.50%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
5.26%
100.00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60.00%
62.50%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
25.00%
19.71%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
0.00%
0.00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
15.38%
47.50%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0.00%
0.00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0.00%
0.00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0.00%
0.00%
0.00%
50.00%
100.00%
150.00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელობის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება პალატის პრეზიდენტის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება პრეზიდენტის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოიძიება პალატის ვიცე-პრეზიდენტის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება ვიცე-პრეზიდენტის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილებები, სათაურად „პრეზიდენტი“ და „ვიცე პრეზიდენტი“ სადაც განთავსდება მათ შესახებ ყველა ზემოთ აღნიშნული, შესაბამისი ინფორმაცია.

ამასთან, პალატის მოქმედი წესდების თანახმად პალატის მიმდინარე საქმიანობას წარმართავს პალატის გენერალური დირექტორი, სასურველია, ვებ-გვერდზე აგრეთვე, შეიქმნას ცალკეული ქვე-განყოფილება სათაურად „გენერალური დირექტორი“, სადაც განთავსდება გენერალური დირექტორის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- დირექტორის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა;

- დირექტორის საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა.

3. ვებ-გვერდზე მოცემულია პალატის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია, აქვე მითითებულიც იყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:

საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა

ბერძნის ქ. 29, 0114 თბილისი, საქართველო
ტელ: (995) 32 272 07 10
ფაქსი: (995) 32 272 31 90
ელ–ფოსტა: info@gcci.ge

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება პალატის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (პალატის სტრუქტურული დანაყოფების, პალატაში რეგისტრირებული იურიდიული და ფიზიკური პირების, პალატის საერთო კრებისა და რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება პალატის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება პალატის ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დასახელება და მის ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმული:

6. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მიმოხილვა“ მოცემულია პალატის ისტორიის შესახებ ძალზედ მწირი ინფორმაცია:



მიმოხილვა

მოტო: ჩვენი ბიზნესი თქვენი წარმატებაა

მისია:

- ჩვენ აქ ვართ იმისათვის, რომ გავალვივოთ და ხელი შეუწყოთ ბიზნესის არსებობას, ენერგიას და განვითარებას.
- ჩვენთვის მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის განვითარება, რომელშიც მინიმუმამდეა შემცირებული სახელმწიფოს ჩარევა.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა დაარსდა 1960 წელს. ის აერთიანებს რეგიონალურ პალატებს და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს ბიზნესის განვითარებას. პალატა საჯარო სამართლის იურიდიული პირია, იგი შექმნილია და მუშაობის სპეციალური კანონის „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ მიხედვით. პალატა გახლავთ დამოუკიდებელი, გაერთიანების საფუძველზე არსებული არა-მომგებიანი ორგანიზაცია. პალატის პრეზიდენტი აირჩევა საერთო კრების მიერ 4 წლის ვადით.

პალატის მთავარ ამოცანას წარმოადგენს კომპანიებისა და მეწარმე ფიზიკური პირების ინტერესების წარმოადგენა და დაცვა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. პალატა სისტემატიურ დიალოგს აწარმოებს მის წევრებს შორის, იმუშავებს ბიზნესის სისტემურ შეხედულებებს და ავრცელებს შესაბამის პარტნიორებში.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება სათაურად „ისტორია“, სადაც განთავსდებოდა პალატის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება პალატის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურული დანაყოფების ჩამონათვალი;

- არ მოიძიება სტრუქტურული დანაყოფების კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა;

- არ მოიძიება სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოძიება სტრუქტურული დანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

ამასთან, პალატის მოქმედი წესდების თანახმად, პალატის მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, ხოლო ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი არანაირი სახის ინფორმაცია საერთო კრების შესახებ; სასურველია, შეიქმნას ცალკეული ქვე-განყოფილება სათაურად „საერთო კრება“ სადაც განთავსდება საერთო კრების შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საერთო კრების სტრუქტურა და შემადგენლობა;

- საერთო კრების შემადგენელი წევრების სახელები და გვარები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღერა და აგრეთვე, მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

- საერთო კრების არჩევის წესი.

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება პალატის რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატების შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატების ჩამონათვალი;

- რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატების კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა;

- რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;

- რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები;

- რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატების ელექტრონული ფოსტის მისამართები, საკონტაქტო ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

9. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს შესაბამისი (ქვე)-განყოფილებები), გეგმები და პროგნოზები (მათ შორის, პალატის მიერ განხორციელებული მეწარმეთა ხელშეწყობის ბიზნეს გეგმები), პროგრამები და პროექტები, საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, პალატის საქმიანობის ამსახველი წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სერვისები“ არსებული ქვე-განყოფილება „სასაქონლო ექსპერტიზა“ იუწყება, რომ მიმდინარეობს რეკონსტრუქცია:

ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება სათაურად „ბიზნეს-ინკუბატორი“ იუწყება, რომ ბიზნეს-ინკუბატორი შემუშავების ეტაპზეა:





ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება სათაურად „სხვა მომსახურებები“ იუწყება, რომ გვერდი დამუშავების პროცესშია:



ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება, სათაურად „წარმომადგენლობები საქართველოში“ იუწყება, რომ გვერდი დამუშავების პროცესშია:



- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება პალატის პრეზიდენტის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები;

- არ მოიძიება პალატის ვიცე-პრეზიდენტის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები და მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლეები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „პრეს-რელიზები“ განთავსებულია ძალზედ მწირი საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვები, კერძოდ მოცემულ ქვე-განყოფილებაში წარმოდგენილი უკანასკნელი ცნობა თარიღდება 2011 წლის ოქტომბრის თვით, რაც მომხმარებელს არ აძლევს საშუალებას, გაეცნოს 2011 წლის ოქტომბრის თვემდე პალატის მიერ განხორციელებულ საქმიანობას:



აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლეები“ განთავსებული ქვე-განყოფილება „საინფორმაციო ბიულეტენი“ ცარიელია:



11. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „წლიური ანგარიში“ სადაც განთავსდებოდა პალატის საქმიანობის ამსახველი წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები;

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა პალატის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ პალატის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს პალატა. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს პალატა.

14. მართალია, ვებ-გვერდზე არსებობს განყოფილება სათაურად „ჩვენი პარტნიორები“ თუმცა მასში განთავსებულიამხოლოდ პარტნიორ ორგანიზაციათა დასახელებები:

სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს განცალკევებული (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და პალატის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

15. სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილება სათაურად ,,კანონმდებლობა“ ან ,,სამართლებრივი აქტები“, სადაც განთავსდება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის,

საქართველოს მთავრობისა და საქართველოს მინისტრის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები;

ამასთან, შემდეგი სამართლებრივი აქტები - პალატის მოქმედი წესდება (რომელიც არ მოიძიება) სასურველია, მოიძიებოდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებებში.

სასურველია, შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ“;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

17. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და პალატაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და ფიზიკურ/იურიდიულ

პირებს შორის, აგრეთვე, პალატასა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „შესყიდვები", სადაც განთავსდებოდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ განხორციელებული შესყიდვების ამომწურავი ჩამონათვალი/სია და შესყიდვების შესახებ ინფორმაცია.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

20. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ვაკანსიები", სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (პალატის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი პალატის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება ყოველწლიურ ბიუჯეტში ასახული პალატის შემოსავლები და გასავლები;
- არ მოიძიება პალატაში არსებულ თითოეულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება პალატის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება პალატის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს პალატა;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ პალატისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77.78%
2. ძიება
20.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
53.33%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
50.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
60.00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
63.16%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
57.14%
9. ელექტრონული ჩართულობა
16.67%
10. ელექტრონული სერვისები
0.00%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0.00%
12. უსაფრთხოება
66.67%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
25.00%
0
0.2
0.4
0.6
0.8

- **ძიება**

ვებ-გვერდის ძიების მოდული ძალიან შეუმჩნეველია კონტურების არქონის გამო:



ამ მოდულში მხოლოდ ძიების ღილაკია გამოყენებულია, რაც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მომხმარებელმა მარტივად შეამჩნიოს ძიების მოდულის არსებობა ვებ-გვერდზე;

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ორგანიზაციული სტრუქტურის კატეგორიაში მყოფი ინფორმაცია საკმაოდ ცუდად ჩანს:



საჭიროა ინფორმაციით სხვა გზით გამოსახვა.
მაგალითად შესაძლებელია სტრუქტურის სურათზე „მაუსის“ მიტანის დროს სურათის გადიდება. შედეგად ყველა წარწერა გადიდდება და ინფორმაციის აღქმაც გაუმჯობესდება.

ასევე იგივე პრობლემა გვხვდება, მთავარ მენიუში, სადაც წარწერები იმდენად მცირე ზომის არის, რომ რთულია მათი წაკითხვა:



ანალოგიურად, აქაც უნდა მოხდეს წარწერების ზომის გადიდება;

- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

ვებ-გვერდის ბოლოში ჩნდება ე.წ „სქროლი“, რაც იმის მანიშნებელია, რომ ვებ-გვერდი განიერია ვიდრე მონიტორის გაფართოება. ამჟამად ვებ-გვერდის სტანდარტი არის 1000 პიქსელი სიგანეში, ვებ-გვერდის მიმდინარე ზომა კი არის 1366 პიქსელზე განიერი:



- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

სიახლეების კატეგორიაზე გადასვლით გამოდის ცარიელი ფურცელი:

ცარიელი ფურცელი გამოდის იმის გამო, რომ სიახლეების კატეგორიას აქვს ქვეკატეგორიები და სიახლეების ბმულზე დაჭერა არ არის გათვალისწინებული. ამ პრობლემის მოგვარება შეიძლება ორგვარად, სიახლეების ბმულს საერთოდ არ ეჭირებოდეს ან ცარიელი ფურცლის ნაცვლად გამოვიდეს დამატებითი მენიუ სადაც იქნება სიახლეების კატეგორიის ქვეკატეგორიები.

სიახლეების მოდულს მხოლოდ ეს პრობლემა არ აქვს, გვერდების განამოვრის ადგილი, რომელიც სტანდარტულად არის სიახლეების სიის დაბლა, ამ შემთხვევაში გადანომრვა გადატანილია ხელმარჯვნივ, არასწორ ადგილას:



გარდა ამისა მასზე დაჭერა შეუძლებელია (მაგაგალითად მეორე გვერდზე გადასასვლელად რიცხვ ორიანს არ ეჭირება);

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდის დაცულ პროტოკოლზე - HTTPS-ზე განთავსებულია ელექტრონული ფოსტის სერვისი:

ამ სერვისის ნაცვლად დაცულ პროტოკოლზე განთავსებული უნდა იყოს სტანდარტული ვებ-გვერდი, რომელიც ამჟამად დევს დაუცველ პროტოკოლზე http-ზე;

ვებ-გვერდზე აღმოჩენილია პროგრამული ხარვეზი (XSS):



ამ ხარვეზის მეშვეობით პროგრამისტს შეუძლია სხვადასხვა კიბერ შეტევის განხორციელება.

ჩვენ სპეციალურად არ ვწერთ სად არის შეცდომა დაშვებული, თუმცა საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის ოფიციალურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით დეტალურ ინფორმაციას;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ზოგადად ვებ-გვერდი დასამუშავებელია და დასახვეწია. გასათვალისწინებელია ისეთი დეტალები, როგორიც არის მარტივად აღქმის კრიტერიუმები, უსაფრთხოების სტანდარტები და სხვა. ასევე ვებ-გვერდს აუცილებლად უნდა დაემატოს ონლაინ სერვისები, რომლებიც მომხმარებლებს მისცემს მეტი ფუნქციების შესრულების შესაძლებლობებს;